“დინამო” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი)

გუშინ, 28 მაისს თბილისის ბერიას სახელობის ‘დინამოს” სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და ლენინგრადის დინამოელთა გუნდები.

ლენინგრადის გუნდში თამაშობდნენ: მეკარე ნაბუტოვი, დაცვა – ივანოვი, სევეროვი, კუჩინი, ნახევარდაცვა – მოგუევი, გოროხოვი. თავდასხმა – ტენიაგინი, ლოტკოვი, ციბინი, ვიქტოროვი და ვასილიევი. თბილისელთა კარში იდგა მარღანია, დაცვა – სარჯველაძე, ძიაბშპა, კიკნაძე, ნახევარდაცვა – გაგუა და პანიუკოვი, თავდასხმა – გ. ჯეჯელავა, მახარაძე, ზაზროშვილი, ღოღობერიძე და ანთაძე.

თამაში მეტად სწრაფი ტემპით დაიწყო. მეორე წუთზე ლენინგრადელებმა გაითამაშეს მეტად ლამაზი კომბინაცია, ბურთი სულ ახლოს მიიტანეს თბილისელთა საჯარიმო მოედანთან და მძლავრი დარტყმით გაგზავნეს თბილისელთა კარში. მეკარე მარღანიამ შესძლო ამ მოულოდნელი ბურთის უკან გამობრუნება, მაგრამ ლენინგრადელმა თავდამსხმელმა ვასილიევმა მიუსწრო, მეორედ დაარტყა და გახსნა ანგარიში. უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისელთა დაცვა ოდნავ რომ შეშველებოდა მეკარე მარღანიას, ეს ბურთი თავიდან იქნებოდა აცილებული.

თბილისელებმა აქტიური შეტევით უპასუხეს პირველ მარცხს.

თავდასხმის ცენტრმა ზაზროშვილმა ბურთი ზუსტად გადააწოდა ლენინგრადელთა საჯარიმო მოედანზე, აქ ლენინგრადელი დამცველი ხელით შეეხო ბურთს და საჭირო იყო მსაჯს დაენიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა. რატომღაც მსაჯმა მორგუნოვმა (მოსკოვი) “ვერ შეამჩნია” ეს მომენტი. თბილისელმა თავდამსხმელებმა მსაჯის სასტვენის ნიშნის მოლოდინში კიდევაც შეაჩერეს თამაში, მაგრამ გაიოზ ჯეჯელავამ სწრაფად აუღო ალღო მდგომარეობას და მძლავრი კუთხური დარტყმით თამაშის მეოთხე წუთზე გაიტანა საპასუხო ბურთი.

აღსანიშნავია, რომ თამაშს ხელს უშლიდა მსაჯი მორგუნოვი, რომელმაც სრულიად უსაფუძვლოდ არ ჩათვალა ღოღობერიძის მიერ ლენინგრადელთა კარში გატანილი მეორე ბურთი. მსაჯი ბევრჯერ არაზუსტად აჩერებდა თამაშს, ვერ ამჩნევდა ლენინგრადელთა უხეშობას, რაც არც ისე იშვიათი იყო მატჩის მთელ მანძილზე.

თბილისელთგან ამ მატჩში გამოირჩეოდა მარღანია, სარჯველაძე, გაიოზ ჯეჯელავა, ღოღობერიძე და ზაზროშვილი. ჩვეულებრივ სუსტი იყო მახარაძე, რომელსაც თამაშის მთელი 90 წუთის განმავლობაში ხეირიანად ერთხელაც არ დაურტყამს მოწინააღმდეგის კარში, თუმცა მას ხშირად ჰქონდა ამის შესაძლებლობა.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:1.

ვიდრე ჯერ კიდევ გვიან არ არის, თბილისის “დინამომ” საჭიროა ჩატარებული მატჩებიდან გამოიტანოს სათანადო დასკვნები და მეტი სერიოზულობით მოეკიდოს საკავშირო პირველობის გათამაშებას ფეხბურთში.

“კომუნისტი”, 29 მაისი, 1948 წ.